საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 13-2/660
17/01/2024

660-13-2-2-202401170906

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

გიორგი ამილახვარს

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. ფაქტობრივი გარემოებები

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების განცხადებით[1], კვალიფიკაციისა და კარიერული ზრდის მიმართულებით, კვლავ რიგი პრობლემებისა და სისტემური გამოწვევების წინაშე დგანან. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მიმართული რეფორმები, მათ შორის, სახელმწიფო ენის სწავლების, სერტიფიცირების და მასწავლებელთა სტატუსების ცვლის პროცესი, მასწავლებლის კვალიფიკაციის ზრდის და შეფასების სათანადო და ეფექტიანი ინსტრუმენტი არ აღმოჩნდა. 2015 წელს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემა ამოქმედდა. ყველა მოქმედმა არასერტიფიცირებულმა მასწავლებელმა მიიღო პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. სერტიფიცირებული მოქმედი მასწავლებლები კი უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლები გახდნენ. სერტიფიცირებული და დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებლებმა კი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიიღეს. მენტორის სტატუსი მიენიჭებოდა მასწავლებელს, რომელიც აკმაყოფილებდა წამყვანი მასწავლებლის მოთხოვნებს და დადგენილ წესს.

2019 წლის მაისში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ცვლილებები „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“[2], რომლითაც მასწავლებელთა სტატუსის შენარჩუნებისა და თვითშეფასების კითხვარის კომპონენტები შეიცვალა. განხორციელებული ცვლილებები მასწავლებელთა მხოლოდ სამ კატეგორიას - ***უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსს*** მოიაზრებს. პრაქტიკოსი სტატუსის მქონე პედაგოგები კი, პროფესიული განვითარების გარეშე სისტემაში დარჩენას ვეღარ შეძლებენ. პროფესიაში დარჩენის

[1] საგულისხმოა, რომ განცხადებას ხელს აწერს 461 პირი.
[2] საქართველოს მთავრობა, №241

შესაძლებლობა მხოლოდ გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ექნებათ, ხოლო პროფესიული უნარების ქართულ ენაზე დაძლევა, მათთვის პრობლემურია.

განმცხადებელთა თქმით, ***<u>პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის</u>*** გაუქმებას უარყოფითი გავლენა ექნება არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებზე, რადგან მათი უმეტესობა სწორედ ამ სტატუსის მატარებელია. განმცხადებელთა თანახმად, მთავარ გამოწვევად რჩება ზოგადპროფესიული გამოცდის ჩაბარება სახელმწიფო ენაზე, რადგან ეს გამოცდა ჯერ კიდევ არ არის შეთავაზებული ეთნიკური უმცირესობების ენაზე. საყურადღებოა, რომ ის მასწავლებლებიც კი, რომლებმაც საგნობრივი კომპეტენციები დაადასტურეს, სტატუსის მოსაპოვებლად პროფესიული უნარების გამოცდაზე ვერ გადიან. დამატებით აღსანიშნია, რომ სტატუსის ამაღლება დაკავშირებულია სახელფასო დანამატის ზრდასთან, რითაც ისინი ვერ სარგებლობენ. განმცხადებლები ასევე მთავარ გამოწვევად უფროსი თაობის წარმომადგენელი მასწავლებლების მიერ ენის შესწავლის სირთულეს ასახელებენ. განმცხადებელთა განმარტებით, აღნიშნული პოლიტიკა მათ უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან მიმართებით[3].

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახალხო დამცველი *ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს* ***დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღდეგ ბრძოლის საკითხებზე.***

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძვლით.

სახალხო დამცველის შეფასებით, განსახილველი საკითხის არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფო ენის სათანადოდ არ ცოდნის გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლები ვერ სარგებლობენ/ისარგებლებენ კარიერული წინსვლის შესაძლებლობებით და, უფრო მეტიც, რისკის წინაშე დგანან, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს დაკარგავენ; შესაბამისად, არსებული წესი დისკრიმინაციული შედეგის მომტანი იქნება არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისთვის, განსხვავებით ქართულენოვანი მასწავლებლებისგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას[4]. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კანონის წინაშე თანასწორობის

---

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეები: N5852/23; N15307/23.

[4] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 1.

უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს - პირიქით[5].“

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა[6] იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ. გარდა ამისა, პირი, რომელიც სწავლობს არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან რომელმაც ექსტერნატის ფორმით ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე დაძლია რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, უფლებამოსილია სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჩააბაროს ქართულ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე.[7] შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ქმნის განათლების ხელმისაწვდომობისა და უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების გარანტიებს. აღნიშნული სამართლებრივი რეგულირება შეესაბამება ,,განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ იუნესკოს კონვენციის მე-5 მუხლის ,,გ“ პუნქტს[8].

აღსანიშნია, რომ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, იღებენ ვალდებულებას, მიიღონ ზომები განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად. **ხაზგასასმელია, რომ ამ კონტექსტში, სახელმწიფოები, inter alia, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კონტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.** სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხოლო, ამავე კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად: (1) მხარეები იღებენ ვალდებულებას, აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება, ისწავლოს მისი უმცირესობის ენაზე. (2) იმ ადგილებში, სადაც

---

[5]იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 2.

[6] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

[7] იხ. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი 08/04/2005.

[8] „განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია“, მიღებულია გენერალური კონფერენციის მიერ კონფერენციის მეთერთმეტე სესიაზე, პარიზი, 14 დეკემბერი 1960, მუხლი 5, „გ“ ქვეპუნქტი: *„არსებითი არის აღიარებულ იქნეს ეროვნული უმცირესობების წევრთა უფლება, თავისით განახორციელონ საგანმანათლებლო საქმიანობები, სკოლების უზრუნველყოფის და თითოეული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის გათვალისწინებით, მათი საკუთარი ენის გამოყენებისა ან სწავლების ჩათვლით, თუმცა, უზრუნველყოფილი იმგვარად: i. რომ ეს უფლება არ განხორციელდება ისეთი ფორმით, რომელიც ხელს შეუშლის ამ უმცირესობებს გაიგონ ადგილობრივი მოსახლეობის ენა და კულტურა და მონაწილეობა მიიღონ მათ საქმიანობებში, ან რაც ეჭვქვეშ აყენებს ეროვნულ სუვერენიტეტს; ii. რომ განათლების სტანდარტი არ არის უფრო დაბალი, ვიდრე ზოგადი სტანდარტი, რომელიც დადგენილი ან დამტკიცებულია კომპეტენტური სახელისუფლებო ორგანოების მიერ; iii. და რომ ასეთ სკოლებში დასწრება არის არჩევითი“.*

ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი. (3) ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამასთან, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, მნიშვნელოვანია, შეიქმნას აუცილებელი პირობები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომელიც უშუალოდ მათ ეხებათ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც სხვა უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა.

აღსანიშნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1968 წლის 23 ივლისს დაადგინა, რომ „განათლების უფლება, [...] თავისი ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროებს რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან; რეგულირებას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროსა და ადგილში საზოგადოებისა და კერძო პირების ინტერესების შესაბამისად. რა თქმა უნდა, ასეთმა რეგულირებამ არასოდეს არ უნდა შელახოს განათლების უფლების არსი, ისევე, როგორც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა უფლებას“[9].

2.1. კონტექსტის ანალიზი

განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები სათანადოდ ვერ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ პრობლემებს, რის შედეგადაც, არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები კვლავ მთელი რიგი პრობლემებისა და სისტემური გამოწვევების წინაშე დგანან. განსაკუთრებით აქტუალურად იკვეთება პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში, ***უფროსი, წამყვანი და მენტორი*** მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სირთულე. აღნიშნული კომპლექსურ ხასიათს ატარებს და არაერთი მიზეზითაა განპირობებული, მათ შორისაა: სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე, უფროსი თაობის მიერ ენის შესწავლის სირთულე და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მეთოდებისა და წამახალისებელი აქტივობების არასაკმარისობა, უფროსი თაობის ადამიანებში ქართული ენის შესწავლის ნაკლები მოტივაცია, სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების არასაკმარისი გეოგრაფიული არეალი და სხვ. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებს პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა დაგვიანებით მიეცათ, რამაც ამ სკოლის/სექტორების მასწავლებლები, ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

---

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ,,ბელგიაში
განათლების სფეროში ენების გამოყენების შესახებ კანონების გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით“, გვ. 32, პუნქტი 5.

აღსანიშნია, რომ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ (შემდგომში სქემა) თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 მაისის N241 დადგენილების შესაბამისად[10] სტატუსის მისაღებად როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მასწავლებლებისთვის, გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, სავალდებულო იყო სხვადასხვა განსაზღვრული აქტივობით კრედიტქულების დაგროვება. მნიშვნელოვანია, რომ სქემაში 2020 წლის 26 ივნისს შესული ცვლილებების მიხედვით[11],, პრაქტიკოს მასწავლებლებს სტატუსის ცვლილებისთვის ვადად განესაზღვრათ 2020 წლის ბოლო, ხოლო არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს - ვადა 2023 წლამდე მიეცათ. თუმცა, ამ პერიოდის განმავლობაში, არაქართულენოვან სკოლებში არსებული გამოწვევების აღმოუფხვრელობის გამო, ამასთან, გამოცდების სახელმწიფო ენაზე ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე, 2023 წლის 12 ივნისს, სქემაში კვლავ შევიდა რიგი ცვლილებები[12]. მათ შორის, სტატუსის მიღების ვადა გახანგრძლივდა 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე. ამდენად, არაქართულენოვანი სკოლის პრაქტიკოსი მასწავლებელი 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე ინარჩუნებს აღნიშნულ სტატუსს, ხოლო საგნების მასწავლებლები - 2023-2024 წლამდე.

ხაზგასასმელია, რომ უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღება ***საგნების მასწავლებლებისთვის*** შესაძლებელია სხვადასხვა გზით. ამ პერიოდის განმავლობაში, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებლები უფროსი მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებენ იმ შემთხვევაში, თუ გაივლიან (ან გავლილი აქვთ) სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ქართული ენის კურსს ან წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს და, საგნის გამოცდაზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით, მიენიჭებათ 1, 4, 7 ან 10 კრედიტქულა. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, პრაქტიკოს მასწავლებელს უფლება მიეცემა, გაიაროს პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგკურსი, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ხოლო ***მშობლიური ენის*** (აზერბაიჯანული და სომხური ენები) პრაქტიკოსი მასწავლებლები 2026 წლამდე უფროსი მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებენ იმ შემთხვევაში, თუ გაივლიან (ან გავლილი აქვთ) სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ქართული ენის კურსს, ან წარმოადგენენ ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ნაწილობრივ დაადასტურებენ საგნობრივ კომპეტენციას (1, 4, 7 ან 10 კრედიტქულა). მოცემული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მასწავლებელს უფლება მიეცემა, გაიაროს პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგკურსი, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. იგივე მოწესრიგება არსებობს სპეციალური მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდასთან

---

[10] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №241, 2019 წლის 23 მაისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/isGPQ

[11] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №390, 2020 წლის 26 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nyBSY

[12] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №221, 2023 წლის 12 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dim46

დაკავშირებით, რაც ასევე ქართულ ენაზე ტარდება და არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისთვის იმავე გამოწვევებთან ასოცირდება[13].

შესაბამისად, სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი ან/და, ცალკეულ შემთხვევებში, არადამაკმაყოფილებელი დონე, მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მასწავლებლებისთვის. ხაზგასასმელია, რომ ყველაზე მეტი პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშია, რაც ამ რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების დიდი კონცენტრაციით აიხსნება. საინტერესოა, რომ არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები თავიდანვე აღნიშნავდნენ, რომ განსაზღვრულ ვადებში ვერ შეძლებდნენ გამოცდის ჩაბარებას. მომდევნო 3 წლის განმავლობაში, მაღალი ალბათობით, ისინი მართლაც ვერ შეძლებენ სახელმწიფო ენის საკმარისად/სათანადოდ დაუფლებას და სახელმწიფო ენის ცოდნის დოკუმენტის წარმოდგენას, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლებელია, მათი საგნობრივი კომპეტენცია მართლაც მაღალი იყოს. შესაბამისად, ეს მათი პრაქტიკოსი მასწავლებლების კატეგორიიდან ამორიცხვას და მასწავლებლის სტატუსის ჩამორთმევას გამოიწვევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა სტატუსების შეცვლა და სტატუსის ამაღლება დაკავშირებულია სახელფასო დანამატის ზრდასთან. საგულისხმოა, რომ სტატუსის დანამატი 2015 წლიდან დღემდე უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის თითქმის გახუთმაგდა. სახელფასო დანამატის სისტემას კი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასწავლებლის მოტივაციაზე, ჩაერთოს პროფესიული განვითარების სქემაში. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები, დასახელებული პრობლემებიდან/გამოწვევებიდან გამომდინარე, ვერ სარგებლობენ სტატუსის შეცვლასთან მიბმული სახელფასო დანამატებითაც. მასწავლებლების მოტივაციაზე ზრუნვა კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში კვალიფიციური კადრების დეფიციტის ფონზე, რაც მიუთითებს კადრების მოძიებისა და წახალისებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

3. დასკვნა

სახალხო დამცველი ყოველწლიურად აფასებს ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის გამოწვევებს და სისტემურ, მათ შორის, ზოგადი პოლიტიკის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას; ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რათა სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს. ვინაიდან, ამ დრომდე, ეთნიკურ უმცირესობებზე მიმართული განათლების პოლიტიკა არ არის ერთიანი, თანმიმდევრული და გრძელვადიანი და, უმეტესწილად, ფრაგმენტულია, საჭიროა, არსებული გადაიხედოს და შემუშავდეს ისეთი სტრატეგიები, ამოცანები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საჭიროებებს ეფექტიანად უპასუხებს. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის

[13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე N15307/23.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავს ზოგადი წინადადებით:

- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემის გადახედვის, მათი სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენის მიზნით და მათზე საპასუხოდ, რელევანტურ სსიპ-ებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს, დროულად და ეფექტიანად, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებისთვის სტატუსების ცვლის შესაძლებლობას;

- უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაცია და გააფართოოს ამ პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში და დაინერგოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსი თაობის საჭიროებებზე მორგებული სწავლების კომპონენტები.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.